ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 201

"23" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

შპს ჰერმესის კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე

შპს ჰერმესის ადმინისტრაციის 2015 წლის 26 მარტის №204 (რეგისტრ. №QN1297057), 2015 წლის 18 მაისის №423 (რეგისტრ. №QN1311123) წერილებისა და აუდიტორული კომპანია შპს ,,რიალ აუდიტის" (ს/კ №204566996) მიერ წარმოდგენილი №52 აუდიტორული დასკვნის გათვალისწინებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონება გადაეცეს შპს „ჰერმესს" კაპიტალში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9[1] მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის" მე-5 მუხლის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული დანართი 1-ით გათვალისწინებული, უმრავი ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „ჰერმესის“ (ს/კ 202888349) კაპიტალში შენატანის განხორციელებაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი 1

№	უძრავი ქონების მისამართი	საკადასტრო კოდი	უძრავი ქონების დახასიათება		ღირებულება (ლარი)	შენიშვნა
			მიწის ფართობი კვმ	შენობა-ნაგებობის ფართობი კვმ		
1	ქალაქი თბილისი, ღრმაღელეს სასაფლაო, მიმდებარედ	01.12.10.005.002	55		3575	შპს რიალ აუდიტის №52 აუდიტორული დასკვნა
2	ქალაქი თბილისი, პარკი მთაწმინდა, (ნაკვ. 04/002)	01.72.14.093.968	4	შენობა-ნაგებობა N1	1400	
3	ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, მიმდებარე ტერიტორია	01.14.05.008.228	51		5100	
სულ ღირებულება					10075	